განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

„პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შეფასების თარიღ(ებ)ი: 22.10.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 18.11.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-6
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერება და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული #85, 9/30/2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ფიქრია ასანიშვილი - სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა ჩიტაძე შპს შავი ზღვის საერთაშორსო უნივერსიტეტი,საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი - სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ხეცურიანი - შპს შავი ზღვის საერთაშორსო უნივერსიტეტი,საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული არგუმეტები სრულად და რეკომენდაციებს მიეცა რჩევების სახე.

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა სოციალური მეცნიერებები: პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები) აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2011 წლიდან. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პროგრამა მოდიფიცირდა და მასში შემავალი სამივე მიმართულება ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ საბაკალავრო პროგრამებად. პოლიტიკის მეცნიერების შემთხვევაში პროგრამა ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი საბაკალავრო პროგრამა "პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)"; ძირითადი და დამატებითი სპეციალობის ფორმატი დარჩა უცვლელი, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია მოდიფიცირდა პროგრამის ფოკუსის გათვალისწინებით და არის პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი.

ამჟამად საგანმანათელბლო საბაკალავრო პროგრამაში „პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეცილობა)" მოდიფიცირების პროცესში შევიდა რიგი ცლილებები: განახლდა პროგრამის მიზნები, შეიცვალა და განახლებული მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგები, სტრუქტურა და კომპონენტების შინაარსი,შემუშავდა პროგრამის რუკა გარდა ამისა, განახლდა, გამრავალფეროვნდა და გაუმჯობესდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. კერძოდ, გაიზარდა ხელმისაწვდომი ელექტრონული სამეცნიერო ბაზებისა და წიგნად ფონდში შემავალი ლიტერატურის რაოდენობა, დაინერგა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტები, მათ შორის: eLearning და Turnitin, გაუმჯობესდა და კიდევ უფრო მრავალფუნქციური გახდა არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი".კერძოდ, ელექტონულ სისტემაში „არგუსი" შესაძლებელი გახდა პროგრამის შეფასების/კვლევის მონაცემებისა და სტუდენტთა აკადემიური მიღწევების სისტემურად დამუშავება და გრაფიკულად გამოსახვა, რამაც ლექტორებს სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებისა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა მისცა კურსის გაუმჯობესებისათვის

საგანმანათელბლო საბაკალავრო პროგრამის პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეცილობა,) დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. აქედან 120 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს, თავისუფალი კომპონენტი:

ზოგადი მოდული შეადგენს 60 კრედიტს და თავისუფალი კომპონენტი: დამატებითი სპეციალობა ან თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტია.
პროგრამის მიზანია მოამზადოს პოლიტიკის მეცნიერების კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებული,რომელსაც ექნება პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი ქვედარგების (საერაშორისო ურთიერთობების, სააჯრო და შედარებითი პოლიტიკის და პოლტიკის თეორიის), პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პროცესების შესახებ ფართო ცოდნა და შეძლებს პოლიტიკური მოვლენის/ფენომენის ანალიზს, ინერპრეტაციასა და ახსნას პოლიტიკური მეცნიერების პრიზმიდან, შესაბამისი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

პროგრამის შედგენისას მისი წარმატებული განხორციელებისათვის მოხდა პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საფეხურზე სწავლების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება (მათ შორის QAA Subject Benchmark Statement Politics and International Relations, 2019), ასევე თვითშეფასების პროცესის მიზნებისთვის გამოყენებულ იქნა დარგის ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასება და მისი რჩევების გათვალისწინება და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების (სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვები, დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება) უკუკავშირი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრეტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ზუმ-შეხვედრა. შეხვედრის მიმდინარეობისას მოხდა პროგრამის დოკუმენტებზე დეტალური მსჯელობა და სტანდარტების გადანაწილება; შედგა ინტერვიუებისათვის სავარაუდო კითხვების მონახაზი. ზუმ-ვიზიტი დაიწყო 10:30 საათზე (22.10.2021) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირველ შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. რომელიც წარმოდგენილი იყო უსდ-ს ვიცე რექტორებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსით და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანით. საუბარი შეეხო საბაკალავრო პროგრამის "პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" მნიშვნელობას, როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. ვიცრე რექტორმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამაში ჩართულნი არიან საქართველოში კარგად ცნობილი დარგის სეციალსიტები და მაღალკვალიფიცური პროფესიონალები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მოთხოვნადობასა და მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად თაანამშრომლობს უცხოურ უნვიერსიტეტებთან, მონაწილეობს გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში, რაც ზრდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ჩართულობის ხარისხს.
ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან. საუბარი შეეხო პროგრამის სტრუქტურას, კურსების დაბალანსების, კონკრეტულად კი, საგნებისათვის სავალდებულო და არჩევითი, არჩევითი სავალდებულო სტატუსის მინიჭების პრინციპს; კვლევის მეთოდოლოგიის კურსებს, ლექტორთა ტრენინგებში მონაწილეობას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა კვლევითი პროცესის გაძლიერების ინსტრუმენტებს; სტუდენტთა წახალისებისა და სხვა მექანიზმებს. პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რომ პროგრამა მუდმივად ვითარება მსოფლიო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით და გამოწვევის შესაბამისად ხდება პროგრამის სტრუქტურის, საგნების, სილაბუსების გადახედვა, გადახალისება და ახალი კურსების დამატება მოთხოვნის მიხედვით , ამ მიზნით მოხდა სწორედ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საფეხურზე სწავლების საუკეთესო

საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება (მათ შორის QAA Subject Benchmark Statement Politics and International Relations, 2019)

მესამე შეხვედრის დროს აკრედიტაციის ჯგუფი გაესაუბრა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს: პროგრამის ხელმძღვანელს, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეებს, მეცნიერებათა ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ სპეციალისტს კვლევების მიმართულებით. მეოთხე შეხვედრა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გაგრძელდა. ინტერვიუების დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრები შეეხნენ ჯგუფის მუშაობის ფორმატს, კონკრეტული წევრებისათვის დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს პროგრამის თვითშეფასების პროცესზე მუშაობისას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეხვედრისას აკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო აკადემიური პერსონალის შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს, სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტებს მათი ქმედითუნარიანობის შესაფასებლად. დაისვა კითხვები, თუ როდის და როგორ ხდება სტუდენტთა ინფორმირება სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება შედგა მეხუთე და მეექვსე შეხვედრისას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შემდეგ, ჯგუფი შეხვდა პროგრამის სტუდენეტბსა და კურსდამთავრებულებს. შემდეგ დათვალიერდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უსდ ინფრასტრუქტურულად გამართულია და მორგებულია სტუდენტების მოთხოვნებზე; ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სტუდენტი იყოს მოტივირებული და მისი სწავლის შედეგი იყოს მაღალი ხარისხის. ბიბლიოთეკის დათვალიერებისას, ბიბლიოთეკის დირექტორის მრჩეველმა და ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების უფორსმა გვაჩვენეს კონკრეტულად პროგრამისთვის შეძენილი წიგნები; მათი უმრავლესობა გაციფრებულია. სტუდენტს ბიბლიოთეკაშიც და დისტანციურადაც უსდ-ს ელ-პლატფორმის გამოყენებით მარტივად შეუძლია სასურველი წიგნის მოძიება. ბიბლიოთეკა ფლობს აკადემიურ ელექტრონულ ბაზებს. დღის ბოლო შეხვედრა შედგა პოტენციურ დამსაქმებლებთან. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტზე, შეაფასეს მიგნებები და გაუზიარეს ისინი უსდ-ს წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ვიზიტის, დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა: პირველი, მე-2; მე-3; მე-4; მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამის სწავლის შედეგებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურად განხორციელების მიზნით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში გათვალისწინებული იქნას სწავლის შედეგის მიღწევის დონისა და სასწავლო კურსების სირთულის (1. გაცნობითი კურსი, 2-გამაღრმავებელი კურსი, 3-განმამტკიცებელი კურსი) მიხედვით დიფერენცირება.
- სასურველია დარგობრივი ინგლისურის კომპონენტის გაძლიერება პროგრამაში

- ახალი პროგრამის შეთავაზების შემთხვევაში, სასურველია, რომ წინასწარ გაწერილი იყოს სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია. სასურველია არსებობდეს ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა წყაროები პროგრამის შესახებ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი მე-11 და მე-12 კლასების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიიღონ ახალი პროგრამის შესახებ.
- ილიას უნივერსიტეტმა ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა იზრუნონ უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხის მფლობელთა კიდევ მეტ მოზიდვასა და ამ მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე.
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რეკომენდებულია რომ გამოცემულ იქნეს ქართულენოვანი ლიტერატურა უშუალოდ პროგრამაში ჩართულ მეცნიერთა ავტორობით.
- სასურველია თვითშეფასების ანგარიშში ფართოდ იქნეს წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი
- სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - კადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSCD), რომელიც სთავაზობს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ადმინსიტრატორების,პროგრამის ხელმძღვანელების, და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ტრენინგ მოდულებს პროგრამის შეფასების, კონკრეტულად კი,პროგრამის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა და ანალიზის შესახებ.
  - პროგრამა თავს უყრის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით კვალიფიციურ კადრებს და მათ შემდგომ პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვის პირობებში, იძლევა სოციალური მეცნიერებების ამ მიმართულების კიდევ უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობას.
  - გასაზიარებელია სტუდენტთა მხარდამჭერი სისტემების (სტიპენდიები, შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის წახალისება) ფინანსური უზრუნველყოფის პრაქტიკა.
  - ბიბლიოთეკის ფარგლებში არსებული ხელმისაწვდომი ბაზების ჩამონათვალი.
  - სამეცნიერო ლაბორატორიების ფუნქციონირება
  - ილიას უნივერსიტეტის კამპუსი ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე აღჭურვილობით ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სასწავლო დაწესებულებაა როგორც საქართველოში, ისე მთლიანად რეგიონში.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ სრულიად შეესაბამება ილიას სახელწლიფო უნივერსიტეტის მისიას და ასევე მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიას, რომელიც გულისხმობს კვალიფიციური, ეთიკური და კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნების მქონე პროფესიონალის ჩამოყალიბებას. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზანი, რეალისტურია, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომელთა განვითარება არის გათვალსიწინებული პორგრამის ფარგლებში. საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს პოლიტიკის მეცნიერების კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი ქვედარგების შესახებ ფართო ცოდნა შეძლებს პოლიტიკური მეცნიერების პრიზმიდან ახსნას პოლიტკური მოვლენა. პროგრამა ასევე ორიენტირებულია ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. პროგრამის შრომის ბაზართან უკეთ მორგების მზნით უსდ-მ ჩაატარა კვლევა პოტენციურ დამსაქმებლებთან, კვლეევის თვისებრივი მეთოდის (კერძოდ, ფოკუს ჯგუფის) გამოყენებით, ხოლო პროგრამის კურსდამთავრებულებთან ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა პროგრამის შეფასების მიზნით. დამასაქმებლებისგან, ასევე კურსდამთავრებულებისგან მიღებული უკუკავშირი გამოყენებული იყო პროგრამის განახლების და მისი დახვეწის პროცესში. საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და დარგის განვითარების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო საერთაშორისო აღმწერი (Subject Benchmark Statement Politics and International Relations, 2019) და ასევე პოლიტიკის მეცნიერერების საბაკალავრო საფეხურზე სწავლების საერთაშორისო პრაქტიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; • ინტერვიუ ფაკულტეტსი დეკანთან; • ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარსხის განვითარების სამსახურთან; • პოტენციური დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში; • კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიში; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია; http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგია;

• Subject Benchmark Statement Politics and International Relations, 2019: https://www.qaa.ac.uk/docs/qaa/subject-benchmark-statements/subject-benchmark-statement-politics-and-international-relations.pdf?sfvrsn=73e2cb81_5
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: Vშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
• პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; • შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება (ძირთადი და დამატებითი სპეციალობა)“ დასრულების შემდეგ სტუდენტი სიღრმისეულად უნდა ფლობდეს პოლიტიკის მეცნიერების საფუძვლებსა და ძირითად ცნებებს. იცნობდეს პოლიტიკის მეცნიერების ძირითად ქვედარგებს (პოლიტიკის თეორია, საჯარო პოლიტიკა, შედარებითი პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები), მათ ძირითად სკოლებსა და თეორიებს; ათვითცნობიერებდეს პოლიტიკური სისტემების არსს, იცნობდეს პოლიტიკის მეცნიერების ძირთად თანამედრვე დებატებს. ჰქონდეს სოციალური კვლევის მეთოდების შესახებ საბაზისო ცოდნა; შეეძლოს კრიტიკულად გაანალიზოს პოლიტიკური ინსტიტუტები, პროცესები, ძირითადი თეორიები და კონცეფციები. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს და ასახულია პროგრამის მიზნის რუკაში. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა ეტაპობრივად განხორციელდა პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე დამსაქმებელბის შეფასებების გათვალისწინებით. ასევე მოხდა პროგრამის შიდაკოლეგიალური შეფასება დარგის ექპერტის მიერ და პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში გამოყენებულ იქნა საბაკალავრო საფეხურზე პოლიტიკის მეცნიერების სწაველბის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და საერთაშორისო აღმწერი QAA Subject Subject Benchmark Statement Politics and International Relations, 2019.

სწავლის შედეგების რუკებისა და სხვა დოკუმენტაციის გაცნობისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის პერიოდული შეფასებისა და მონიტორინგის ფარგლებში პროგრამის თვითშეფასების პროცესში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით განისაზღვრა თითოეული შედეგის შეფასების სამიზნე ნიშნულები და დაიგეგმა შეფასების პროცესის ხუთწლიანი ციკლი. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისას დაწესებულება ამ ეტაპზე არ აკეთებს სასწავლო კურსების დიფერენცირებას სირთულის მიხედვით, როგორც ამას აკრედიტაციის სახელმძრვანელო ითხოვს. შემდეგ ეტაპზე დაწესებულება გეგმავს პროგრამის სწავლის შედეგების უფრო დეტალიზირებული რუკის ფორმირებას, რასაც გარკვეული დრო დასჭირდება. ამიტომ დაწესებულება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით დასაწყისში ამ ეტაპზე იყენებს ე.წ. საბაზისო მოდელს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი საბაზისო მოდელი გარკვეულ წილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგის შეფასებასა და გაზომვადობას თუნდაც დაწესებულების მიერ შერჩეული მოცემული შეფასების მექანიზმით, თუმცა მიგვაჩნია რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი არსებული სახით გამოწვევაა და შემდგომ განვითარებას მოითხოვს, ამიტომ სასურველია სწავლის შედეგის მიღწევის დონისა და სასწავლო კურსების სირთულის (1. გაცნობითი კურსი, 2-გამაღრმავებელი კურსი, 3-განმამტკიცებელი) მიხედვით დიფერენცირების გათვალისწინება. საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSCD) დაფუძნება, რომელიც სთავაზობს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ადმინსიტრატორების, პროგრამის ხელმძღვანელების, და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ტრენინგ მოდულებს, პროგრამის შეფასების, კონკრეტულად კი, პროგრამის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა და ანალიზის შესახებ. ტრენინგ მოდულების გარდა უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და რეკომედაციებს აძლევს პროგრამის ხელმძღვანელებს და სამუშაო ჯგუფს პროგრამის სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამა; • სწავლის შედეგების რუკა; • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები • სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხივს ანგარიშები • პოტენციურ დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის ანგარიშები • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამის სწავლის შედეგებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურად განხორციელების მიზნით სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში გათვალისწინებული იქნას სწავლის შედეგის მიღწევის დონისა და სასწავლო კურსების სირთულის (1. გაცნობითი კურსი, 2-გამაღრმავებელი კურსი, 3-განმამტკიცებელი კურსი) მიხედვით დიფერენცირება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSCD), რომელიც სთავაზობს საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ადმინსიტრატორების, პროგრამის ხელმძღვანელების, და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ტრენინგ მოდულებს პროგრამის შეფასების, კონკრეტულად კი,პროგრამის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა და ანალიზის შესახებ.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს საბაკალავრო პროგრამაზე „პოლიტიკის მეცნიერება (ძირთადი და დამატებითი სპეციალობა)“ ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭირვალე და სამართლიანია და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე აბიტურიენტების მიღებას. პროგრამაზე მიღების პირობები და მასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია თავსდება შეფასებებისა და გამცოდების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდსა და ცობარში, აგრეთვე ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა“პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://iliauni.edu.ge/ge/ • შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი . naec.ge https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/gonisdziebebi-346/live-sainformacio-shexvedra-ratom-politikis-mecniereba-ratom-saertashoriso-urtiertobebi.page • გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის ანგარიში • გასაუბრება ფაკულტეტის დეკანთან • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება Vშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს პროგრამის ხელმძღვანელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. პროგრამა კოლეგიალური შიდა შეფასებისთვის გადაეგზავნა ილის სახელმწიფო

უნივერსიტეტისა და მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორს. აგრეთვე პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების გამოკითხვების ანგარიშები და უკუკავშირები და შეიტანა შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში. პროგრამის საბოლოო ვერსია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასებასთან ერთად წარედგინა ჯერ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად, შემდგომ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად და საბოლოოდ აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწტყვეტილება მისი დამტკიცების შესახებ. საბაკალავრო საგანამნათლებლო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს და ითვალისიწნებს დაშვების წინაპირობას. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზურნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითი და არჩევითი სასწავლო კომპონენტისგან. პროგრამა 240 კრედიტიანია,ხანგრძლივობა 8 სემესტრი. თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული-60 კრედიტი ძირითადი სწავლსი სფერო-120 კრედიტი დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი -60 კრედიტი კურიკულუმის გაცნობისას ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა მოსაზრება დარგობრივი ინგლისურის ცალკე კომპონენტად გამოყოფის შესახებ. ინგლისური ენის პრაქტიკულ კურსებს პროგრამაში 24 კრედიტი აქვს დათმობილი, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია დარგის ინგლისურისათვის ცალკე სავალდებულო კომპონენტის მინიჭება ცოდნის გასაღრმავებლად. მით უფრო რომ კომისიის წევრების ეს მოსაზრება დაემთხვა დამსაქმებლების გამოკითხვის ანგარიშებსაც და სტუდენტების სურვილსაც, მათთან გასაუბრების დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • „პოლიტიკის მეცნიერება (ძირთადი და დამატებითი სპეციალობა) საგანმანათლებლო პროგრამა • საგანმანთლებლო პროგრამის თვითშფასების ანგარიშის დოკუმენტი • პროგრამის სწავლის შედეგების რუკა • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები • სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის ანგარიშები • დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის ანგარიში • გასაუბრება სტუდენტებთან • გასაუბრება პროგრამსი სამუშაო ჯგუფთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია დარგობრივი ინგლისურის კომპონენტის გაძლიერება პროგრამაში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურა გაწერილი არის შესაბამის სილაბუსში და ასახავს ინფორმაციას სასწავლო კურსის სახელწოდების, ავტორის, სასწავლო კურსის სტატუსის, მიზნების, კრედიტების რაოდენობის და საათების (ECTS) განაწილების, სწავლის შედეგების, სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების/სწავლის მეთოდების, შეფასების, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის შესახებ. სილაბუსის შედგენის პროცედურები აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ დაცულია სრულად. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკა, რომელიც წარმოაჩენს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებთან თანხვედრას და ცოდნის სიღრმეს. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილ მასალებში ნათლად ჩანს, რომ აკადემიური პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების, მათი მიზანშეწონილობის, შინაარსის განსაზღვრაში. წარმოდგენილი მასალებიდან, ირკვევა, რომ დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, მარეგულირებელი აქტები ქმნიან სისტემას, მექანიზმებს/ინსტრუმენტებს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის შინაარსის იმავე სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების უმაღლესი განათლების შესაბამის (ამ შემთხვევაში საბაკალავრო) საფეხურთან თანხვედრის, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის/მოცულობის იმავე სასწავლო კურსის შინაარსთან

და სწავლის შედეგებთან, სილაბუსში მითითებული სავალდებულო და სხვა სასწავლო მასალების კურსის სწავლის შედეგებთან თანხვედრა/შესაბამისობა და დადარების უზრუნველყოფას. პროგრამის შემადგენელი სასწავლო კომპონენტების შინაარსი, თემატიკა ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების პირველი, საბაკალავრო დონის პირველადი ცოდნის დონის გათვალისწინებით. სავალდებულო სასწავლო კურსის შინაარსი ესადაგება სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს. გარდა ამისა, სასწავლო კურსების შინაარსი ეფუძნება სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, შინაარსით შეესაბამება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. ინტერვიუებით ირკვევა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროების მიხედვით ძირითადი სასწავლო და ცალკეული დამატებითი, დამხმარე სასწავლო მასალების შესყიდვას/განახლებას. პროფესორ/მასწავლებლების პერსონალური მონაცემები, მათი სამეცნიერო პუბლიკაციები და პრაქტიკული გამოცდილება გავძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სწავლება ხორციელდება აქტუალურ ცოდნაზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანია სასწავლო კურსების ნაწილში განახლდეს ლიტერატურა ქართულ ენაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • „პოლიტიკის მეცნიერება (ძირთადი და დამატებითი სპეციალობა) საგანმანათლებლო პროგრამა • საგანმანთლებლო პროგრამის თვითშფასების ანგარიშის დოკუმენტი • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები • გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან • გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში სწავლის შედეგები ცალკეულ მოდულებათაა ჩამოყალიბებული. ის შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან. სავალდებულო კომპონენტები ორიენტირებულია პროფესიულ მახასიათებლებზე რაც ცალკეული სასწავლო კურსების შინაარში ვლინდება. პრაქტიკული ნაწილი ასევე ინტეგრირებულია სასწავლო კომპონენტებში - იქ, სადაც მეტი აქცენტი თეორიის პრაქტიკაში რეალიზებისთვის საჭირო უნარჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე კეთდება. პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო კურსების არჩევითობის შესაძლებლობას. სასწავლო პრაქტიკის კომპონენტს პროგრამა არ ითვალისწინებს ვინაიდან დამსაქმებლებთან სტაჟირების პოლიტიკაზეა ორიენტირებული. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სტუდენტები სტაჟირებას გადიან როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. უზრუნველყოფილია სასწავლო ვიზიტები შესაბამის დაწესებულებებში ან მაღალი დონის სპიკერების მოწვევა უნივერსიტეტში. უსდ-ს გააჩნია მნიშვნელოვანი გამოცდილება სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების ორგანიზებაში. მასპინძლობს და ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევით ღონისძიებებში. აქტიურად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს. ინტერვიუმ ასევე ცხადყო, რომ სტუდენტს პრაქტიკული თუ კვლევითი ხასიათის პროექტებში მონაწილეობისას ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელთაც შეუძლიათ მათი განმავითარებელი შეფასება. პოლიტიკური მეცნიერების პროგრამა, სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევის უნარების განვითარებისთვის, თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან რაც სახელმწიფო სტრუქტურებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის არაერთი მემორანდუმით დასტურდება.

პროგრამა ორიენტირებულია უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი უნარების განვითარება და/ან მათ შესაბამის პროექტებში ჩართვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • „პოლიტიკის მეცნიერება (ძირთადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითშეფასების ანგარიში, • სასწავლო კურსების სილაბუსები, • გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, • გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან • ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის : ახალი პროგრამის შეთავაზების შემთხვევაში, სასურველია, რომ წინასწარ გაწერილი იყოს სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია. სასურველია არსებობდეს ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა წყაროები პროგრამის შესახებ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი მე-11 და მე-12 კლასების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიიღონ ახალი პროგრამის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სამეცნიერო კვლევითი პროექტების ინტერნაციონალიზაცია, შესაბამის აქტივობებში საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა.
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და სხვ. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. სწავლების მეთოდების შერჩევისას ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი, რაც მიიღწევა შესაბამისი აქტივობებით: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Casestudy), და სხვა. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას. საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსების შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, თემატიკის აქტივობებისა და მეთოდების შედარების, სასწავლო პროცესში ჩართულ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს გზით იკვეთება, რომ პერსონალის მიერ ძირითადად გამოყენებულია, უმაღლესი განათლების პირველი საფეხურისთვის მეტწილად ვალიდური, პირველადი ცოდნის და უნარების უზრუნველმყოფელი მეთოდები, დაცულია სასწავლო კურსის თავისებურებები/სპეციფიკა (თეორიული და პრაქტიკული ხასიათი).
მტკიცებულება/ინდიკატორები: • „პოლიტიკის მეცნიერება (ძირთადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • პროგრამის სილაბუსები, • გასაუბრება სტუდენტებთან, • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, • გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პეროსნალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით და ასევე, გათვალისწინებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 21 დეკემბრის კანონი და საქართველოს განათლებისა და ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

(A) ფრიადი შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

(FX) ვერ ჩააბარა მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უსდ-ს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, რომ გაასაჩივრონ კურსის ფარგლებში მიღებული შეფასებები ელექტრონული პლატფორმა “გონის” საშუალებით. ასევე, კურსის განმავლობაში სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ უკუკავშირი ლექტორების მხრიდან, თუ როგორ გააუმჯობესონ შედეგები.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში დადგენილი პროცედურების მიხედვით, იგი გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისია. პროგრამაში შემავალ ყველა კომპონენტში განსაზღვრულია შეფასების სისტემა და შესაბამისი კრიტერიუმები,რითაც მიღწეულია სტუდნტის ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების შესახებ. სასწავლო პროცესის ელქტრონული მართვის სისტემა „არგუსით“ სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტს შესაზლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს თუ კონცეფციას და კურსსი დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონნეტები და კრიტერიუმები.

სტუდენტების შეფასების სიტემა გამჭირალეა და კანონმდებლობასთან არის შესაბამისობაში. სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება: შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება. შუალედური და დსკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღავრი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღავრი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%. დასკვნითი შეფასება კურსის სავალდებულო კომპონენტია და მისი ხვედრით იწილი არ აღემატება 30 ქულას.

სასწავლო პროცესსი მსვლელობაში სტუდენტები იღებენ უკუკავშირს აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან თავიანთი მიღწევებისა და მათი გაუმჯობესების შესახებ.ამ

მიზნის მისაღწევად გამოიყენება ელექტრონული სისტემა „არგუსი“ და ასევე ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები. დადებით ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტში არსებული „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი.“ რომელიც უზრუნველყფს პერსონალისთვის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თაანამედროვე თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • „პოლიტიკის მეცნიერება (ძირთადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი“ https://argus.ge/ge/; • ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი; • სისტემები https://elearning.iliauni.edu.ge და https://turnitin.com • გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან • გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთვრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების	V			

შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
უსდ-ის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც დაიტერესებული პირები იღებენ იფორმაციას სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციისათვის გამოყოფილი საათები. სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უსდ-ში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა „არგუსი“. ამ სისტემაში რეგისტრირდება ყველა სტუდენტი და ეცნობა პროგრამით გათვალისწინებულ სილაბუსებსა და ელექტრონულ სასწავლო მასალებს. ობიექტური, გამჭირვალე და სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად სილაბუსებში მითითებულია შეფასების სისტემა შესაბამისი კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების გათვალსიწინებით. „არგუსში“ ხდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებსი ასახვა, ასევე მისი საშუალებით ირჩევს სასწავლო კურსებს, ამოწმებს მიღებულ შეფასებებსა და დაგროვებულ კრედიტებს. ამყარებს კომუნიკაციას უნივერსიტეტის სწავლების პროცესში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. მთელი წლის განმავლობაში სტუდენტებს შეუძლიათ კონტაქტი ჰქონდეთ სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელთან და მიიღონ მათგან უკუკავშირი. არგუსის გარდა კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც არსებობს,როგორიცაა ელფოსტა და ტელეფონი. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური წერის ცენტრი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდენ ტუტორთან შეხვედრაზე და მიიღონ მისგან ინფორმაცია სასურველ საკითხთან დაკავშირებით; ონალინ გააგზავნონ წერითი ნაშრომი და მიიღონ უკუკავშირი ტუტორისაგან; ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდენ ცენტრის მიერ შემოთავაზებულ სემინარებზე და აგრეთვე სთავაზობს სტუდენტებს დახმარებას წერის უნარების განვითარების კუთხით. ასევე ისარგებლონ აკადემიური წერის ცენტრის მიერ შექმნილი ონლინ რესურსებით, რომელიც ხელმისაწვდომია ცენტრის ვეგვერდზე. http://writingcentre.iliauni.edu.ge/ საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით სტუდენტების ჩართულობა უნივერიტეტში განხორციელებული თუ განხორციელების პროცესში მყოფ პროექტებში და ასევე სტუდენტთა დასაქმებაში ხელშეწყობა. სტუდენტებისა და კრუსდამთავრებულთა დასაქმება ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტისა. კარიერული

განვითარების სერვისების ფარგლებში დეპარამენტი ახორციელებს დასაქმების თვეს და პროფილური დასაქმების ფორუმების სერიას -UNIJOBS. შთამბეჭდავია უნივერისტეტის მიერ განხორციელებული სტუდენტების განვითრარებაზე ორიენტირებული აქტივობების ჩამონათვალი,როგორციაა ბიზნეს ინგლისურის კურსების შეთავაზება სტუდენტებისთვის. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაიუმჯობესონ ინგლისური ბიზნესინგლისურის შემსწავლელი კურსებით. კურსის სახელწოდებაა Learn English Select და სრულად ფინასდება ბრიტანეთის საბჭოს მიერ. ასევე უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტური პროექტების დაფინასებას, სტუდენტური კლუბების ჩამოყალიბებას, სეზონური სკოლებისა და გასვლითი სეზონური ბანაკებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი • პროგრამის სილაბუსები • სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება • აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი: http://writingcentre.iliauni.edu.ge/ • https://pestuge.iliauni.edu.ge • leapjmnetwork.com • https://iliauni.edu.ge/en/siaxleebi-8/axali-ambebi-36/international-seasonal-school-organized-by-ilia-state-university-and-university-of-tromso.page • https://iliauni.edu.ge/en/siaxleebi-8/gonisdziebebi-346/peace-security-in-the-south-caucasus.page • https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/developmentoffice/siaxleebi/sazafxulo-skola-usafrtxoebis-perspeqtivebi-evraziis-regionul-konteqstshi.page
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
• პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე

დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; • პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდა არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში; • პროგრამის სტუდენტები სამივე უზრუნველყოფილები არიან უნივერსიტეტის მიერ სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პოლიტიკის მეცნიერების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა თავს უყრის როგორც გამოცდილ, ასევე ახალგაზრდა კადრებს და მათ შემდგომ პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვის პირობებში, იძლევა სოციალური მეცნიერებების ამ მიმართულების კიდევ უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობას. თუმცა, ამ ეტაპზე არის რამდენიმე საყურადღებო მონაცემი, წარმოდგენილი რეკომენდაციებსა და რჩევებში, რომელიც საჭიროებს აქტიურ გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას ანხორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც გააჩნიათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა კიდევ უფრო გაზრდას საჭიროებს. თუმცა, როგორც ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან განხორციელებული ინტერვიუებიდან იკვეთება, მათი აბსოლუტური უმრავლესობა, თავისი საქმის პროფესიონალს წარმოადგენს და ბევრ მათგანს პოლიტიკური მეცნიერებების, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სოლიდური აკადემიური პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. თუმცა, სასურველია, რომ ეს ბალანსი დოქტორის ხარისხის მფლობელთა სასარგებლოდ შეიცვალოს. მათთან მიმართებაში, როგორც ვიზიტის დროს გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციით დასტურდება, ილიას უნივერსიტეტი სთავაზობს პროფესიულ მხარდამჭერ სისტემებს - კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერა, პუბლიკაციების გამოქვეყნება საუნივერსიტეტო გამოცემებში და ა.შ. აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია ახორციელებს ფინანსურ მხარდაჭერას კონფერენციებსა და სხვადასხვა ინიციატივების, მათ შორის მთარგმნელობითი საქმიანობის მხარდაჭერისა და სახელმძღვანელოებზე მუშაობის წახალისების თვალსაზრისით. თუმცა, საჭიროა გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანი კონტრიბუციის გაწევა ამ მიმართულებით. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ანალოგიურად ფასდება პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი. ხაზგასასმელია პროგრამის ხელმძღვანელის აქტიურად ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში და შესაბამისი ადამიანური რესურსების მობილიზებაში. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი დამაკმაყოფილებლად გამოიყურება, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლებით ბოლო ხუთი წლის მონაცემებით.

პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის სტუდენტები, უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი და მათი პირადი საქმეები; • პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია; • საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია: • საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • უსდ-ს მიერ ატარებული გამოკითხვების შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: სასურველია, რომ ილიას უნივერსიტეტმა ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა იზრუნონ უშუალოდ პოლტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის ხარისხის მფლობელთა კიდევ მეტ მოზიდვასა და ამ მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით რეკომენდებულია რომ გამოცემულ იქნეს ქართულენოვანი ლიტერატურა უშუალოდ პროგრამაში ჩართულ მეცნიერთა ავტორობით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პროგრამა თავს უყრის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით კვალიფიციურ კადრებს და მათ შემდგომ პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვის პირობებში, იძლევა სოციალური მეცნიერებების ამ მიმართულების კიდევ უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართულენოვანი პროგრამის ფარგლებში უსდ აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას გამოკითხვებით (თვითშეფასების დოკუმენტი) და დაკავებულია შედეგების ანალიზით, რაც წარმოდგენილია თვითშეფასების დოკუმენტში.

ქართულენოვანი პროგრამის ფარგლებში უსდ-ს გააჩნია მექანიზმები აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და მათი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის წახალისებისთვის. თუმცა, როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან დგინდება, არის პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის, განსაკუთრებით, სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების თვალსაზრისით, გაუმჯობესების საჭიროება, რაც გამოიხატება მეტი რაოდენობის სამეცნიერო სტატიებისა და სამეცნიერო ლიტერატურის - სახელმძღვანელოების გამოცემაში, სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობასა და უნივერსიტეტის სახელით მოხსენებების გაკეთებაში.

უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სასწავლო პროცესის ფარგლებში არსებობს საგრანტო ინიციატივები, რომლის გაცემისათვისათვის არსებობს სასწავლო წლის განმავლობაში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების მოთხოვნა და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბიბლიოთეკო მატერიალური და ტექნიკური რესურსი: ილიას უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია ელექტრონული ბაზები; ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი; იძებნება პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და რიდერები. ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მოიცავს უნივერსიტეტში არსებული სპეციალობებისათვის საჭირო სასწავლო, სამეცნიერო და დამხმარე ლიტერატურას. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღრიცხულია ელექტრონულ კატალოგში. საბიბლიოთეკო რესურსებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ელექტრონულ ბიბლიოთეკას, რომელიც მოიცავს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ლიტერატურას. უნივერსიტეტის ფარგლებში ფუნქციონირებს სამეცნიერო - ტექნიკური ლაბორატორიები. ბიბლიოთეკაში სტუდენტებს ემსახურება შესაბამისი კვალიფიციური პერსონალი. გამართულად ფუნქციონირებს სასწავლო ბაზები. ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში სწავლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უსდ-ში განხორციელებული ონლაინ ვიზიტი, • მემორანდუმები, • საბიბლიოთეკო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა • პროგრამის თითშფასების ანგარიში • ინტერვიუები ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): გასაზიარებელია სტუდენტთა მხარდამჭერი სისტემების (სტიპენდიები, შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის წახალისება) ფინანსური უზრუნველყოფის პრაქტიკა. ბიბლიოთეკის ფარგლებში არსებული ხელმისაწვდომი ბაზების ჩამონათვალი. სამეცნიერო ლაბორატორიების ფუნქციონირება. ილიას უნივერსიტეტის კამპუსი ინფრასტრუქტურითა და თანამედროვე აღჭურვილობით ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სასწავლო დაწესებულებაა როგორც საქართველოში, ისე მთლიანად რეგიონში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება:

V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
პროგრამის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვასლიწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში. პროგრამა ფინანსურად მდგრადია და მისი ბიუჯეტი ფარავს ხარჯებს პროგრამის განვითარებისათვის, საჭირო რესურსების დაფინანსების ხარჯებს, პერსონალის ხარჯებს და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები, • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი,რომელიც ხელმისაწვდომია ფინანსურ სამსახურში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შიდა შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში სწავლებაში ჩართული პერსონალისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ურთიერთთანამშრომლობის პროცედურები და შეფასების მექანიზმები აღწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნვლყოფის კონცეფციასა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესში. შიდა შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის ფუნქციები განსაზღვრულია ფაკულტეტის დებულებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგლებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. დაწესებულებას აქვს პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამით კმაყოფილების კვლევის მექანიზმი, სტუდენტების და ლექტორების მიერ სერვისების შეფასების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის მხრიდან თანამშრომლობას შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევდა თვითშეფასების ჯგუფის მუშაობას. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია, კოორდინირება გაუწიოს პროგრამის შემუშავების, განხორციელების, განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისა და განვითარების პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფს. თვითშეფასების პროცესში თვითშეფასების ჯგუფისა და პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე განხილული იქნა პროგრამა შემდგომი განვითარებისა და მოდიფიკაციის მიზნით, ასევე სწავლის შედეგების მიღწევადობის პირდაპირი და

არაპირდაპირი მეთოდებით მოგროვებული მონაცემები. მოხდა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, აგრეთვე პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის და დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი. პროგრამის ხელმძღვანელიმა სწავლებაში ჩართულ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიმუშავა შიდა თვითშეფასების ანგარიში, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდში თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზსა და ანალიზის საფუძველზე პროგრამული ცვლილებების პაკეტს. შემუშავებული თვითშეფასების ანგარიში განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცა ფაკულტეტის საბჭოს.

პროგრამის თვითშეფასების პროცესის მიზნებისთვის გამოყენებული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან მიღებული უკუკავშირი: დარგის ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასება და რჩევები; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევები (სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვები); დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასება (ფოკუს-ჯგუფი); უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უკუკავშირი პროგრამის შესახებ; პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საფეხურზე სწავლების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა (მათ შორის QAA Subject Benchmark Statement Politics and International Relations, 2019). პროგრამის თვითშეფასების პროცესში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით განისაზღვრა თითოეული შედეგის შეფასების სამიზნე ნიშნულები და დაიგეგმა შეფასების პროცესის ხუთწლიანი ციკლი.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიში აღწერს ძირითად პროცესებს და იძლევა სათანადო ინფორმაციას, რაც საჭიროა ანალიზისა და შეფასებისთვის, თუმცა სასურველია თვითშეფასების ანგარიშში უფრო ფართოდ იქნას წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი. თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელდა მთელი რიგი აქტივობები და შევიდა ცვლილებები პროგრამაში: განახლდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა და სასწავლო კურსების შინაარსი, გამრავალფეროვნდა და გაუმჯობესდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. გაიზარდა ხელმისაწვდომი ელექტრონული სამეცნიერო ბაზებისა და წიგნად ფონდში შემავალი ლიტერატურის რაოდენობა, დაინერგა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტები, მათ შორის: eLearning და Turnitin, გაუმჯობესდა და კიდევ უფრო მრავალფუნქციური გახდა არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი“. ელექტონულ სისტემაში „არგუსი“ შესაძლებელი გახდა პროგრამის შეფასების/კვლევის მონაცემებისა და სტუდენტთა აკადემიური მიღწევების სისტემურად დამუშავება და გრაფიკულად გამოსახვა, სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაში დაწესებულება ეყრდნობა პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთთან ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ გადაწყვეტილება პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით მიიღება კოლეგიალურად პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ. პროგრამის კომპონენტების შინაარსის განსაზღვრა ხდება საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებით და პროგრამაში ჩართული პერსონალის გამოცდილების მიხედვით.

პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. კეიოდ: პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა განსაზღვრა პროგრამის შინაარსობრივი ნაწილი, ჩამოყალიბდა სავალდებულო და არჩევითი კურსების კატეგორიები, განისაზღვრა თუ რა ცოდნა და უნარები უნდა ჰქონოდათ

კურსდამთავრებულს და რა კურსები სჭირდებოდათ მათ ამ შედეგებზე გასასვლელად, ასევე, რა ზოგადი ცოდნა უნდა მიეცა პროგრამას. გათვალისწინებული იქნა დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის გამოკითხვის შედეგები. ამ პროცესში სტუდენტებისა და კურსდამთვარებულების გამოკითხვის შედეგები არჩევით და სავალდებულო კურსების გადაჯგუფებისას შეძლებისდაგვარად იქნა გათვალისწინებული. სტუდენტების გამოკითხვები ჩატარდა, მაგრამ ამ პროცესში მხოლოდ მათი სურვილების მიხედვით არ ხდება გადაწყვეტილების მიღება, არამედ იყენებდნენ აკადემიური პერსონალის სწავლების გამოცდილებას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასაც. პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეიძლება მოდიოდეს თავად პროგრამის ხელმძღვანელობიდან. უფრო ხშირად პერსონალი სთავაზობს თავის ახალ სასწავლო კურსს, შემდეგ ხდება შეთავაზების განხილვა პროგრამის ხელმძღვანელისა და სამუშაო ჯგუფის მიერ, ეწყობა სილაბუსის განხილვა, ეწყობა საცდელი ლექცია (მოწვეული პერსონალის შემთხვევაში), შემდეგ ხდება ფაკულტეტის ხარისხის სამსახურიდან უკუკავშირის მიღება და ცვლილების დანერგვის შესახებ კოლეგიალურად გადაწყვეტილების მიღება. პროგრამაში ინიცირებული ცვლილებები გადის ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად, ხოლო სრულიად ახალი პროგრამა მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • პროგრამების ხელმძღვანელის საქმიანობის წესი; • აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წესი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; • საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები; • კვლევის ინსტრუმენტები; • ელექტრონული სისტემა არგუსი; • პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და სწავლისშედეგების შეფასების მექანიზმი; • ფაკულტეტის დებულება; • პროგრამის შემუშავების წესი; • დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; • სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტევიუს შედეგები; • პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები; • დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: სასურველია თვითშეფასების ანგარიშში ფართოდ იქნეს წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
გარე შეფასების მიზნით პროგრამის განახლების პროცესში გამოყენებული იყო ასევე 2011 წელს აკრედიტაციის ექპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაცია და დამსაქმებლისგან მიღებული უკუკავშირი. 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების ზოგიერთი მათგანი დღეისათვის ვალიდური აღარ არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კლასიფიკატორის ცვლილების გამო. 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებს წარმოადგენდა: „ვინაიდან პროგრამას არ ჰყავს კონკრეტული ხელმძღვანელი/კოორდინატორი, სასურველია პროგრამაში მითითებული იყოს საკონტაქტო პირი; პროგრამაში სწავლის შედეგები აღწერილია, ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციებით. პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია ექვსი კრიტერიუმის მიხედვით; სასურველია კიდევ უფრო გაფართოვდეს დარგობრივი კომპეტენციების კომპონენტების აღწერა ექვსი კრიტერიუმის მიხედვით; კურსდამთვარებულთა დასაქმების თაობაზე სრულყოფილი სურათის მისაღებად საჭიროა შესაბამისი ბაზრის დამატებითი კვლევა (სტატისტიკური ანალიზი); სასურველია, ერთამენთისაგან გაიმიჯნოს სწავლების ფორმატი და მეთოდი. მაგ. ლექცია, სემინარი, ჯგუფში მუშაობა, რომლებიც პროგრამაში განხილულია როგორც სწავლების მეთოდები, განისაზღვროს, როგორც ფორმატი; სასურველია დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს სილაბუსის ერთიანი ფორმა, რომლითაც იხელმძღვანელებს ყველა პროფესორ-მასწავლებელი. ამ მხრივ, სილაბუსების ნაწილი საჭიროებს რედაქტირებას და შევსებას; სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე, სასურველია პროგრამას მოემსახუროს დამატებით კიდევ ერთი კოორდინატორი (ნაცვლად ერთისა).“ აღსანიშნავია, რომ 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებიდან ზოგიერთი მათგანი დღეისათვის ვალიდური აღარ არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კლასიფიკატორის ცვლილების გამო, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები სრულადაა გათვალისწინებული პროგრამის განახლების პროცესში. გარე შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს დაწესებულების მხრიდან უხცოური საგანმანათლებლო დაწესებულებიდას და დარგის ექსპერტებიდან მიღებული შეფასება/გამოხმაურება პროგრამის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამა (მიზნები, სწავლის შედეგები და კატალოგი/სტრუქტურა) გადაეგზავნა დარგის ექსპერტს (რუსეთისა და ევრაზიული კვლევების/საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროფესორს, Mont Holyoke College), რომელმლაც უზრუნველყო მისი კოლეგიური შეფასება. ასევე პროგრამა გადაეგზავნა პოტენციურ დამსაქმებლებს, რომლებთანაც ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი. გარე შეფასების მექანიზმებს შორის ასევე იყო გამოყენებული კურსდამთავრებულებიდან მიღებული უკუკავშირი.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებიდან მიღებული გამოხმაურებები წარმოაჩენენ პროგრამის მაღალ შეფასებას, თუმცა სასურველი იქნება გარე შეფასების უფრო სტრუქტურიზებული სახით წარმოდგენა. ამისათვის სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • 2011 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი #5; 30.09.2011) • დარგის ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასება; • დამსაქმებლების ფოკუს ჯგუფის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანგარიშები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამის (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევები იძლევა მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას. დაწესებულებას აქვს ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები: პროგრამის შეფასების, სასწავლო კურსის შეფასების, კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მექანიზმი, დასაქმების

კვლევა-მექანიზმი, დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასების მექანიზმი, ასევე, შემუშავებული აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები. საჩვენებელი და სემესტრული ლექციების კოლეგიური შეფასების და განვითარების კონცეფცია და შესაბამისი პროტოკოლები გაწერილია. დაწესებულებას აქვს სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი და აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი. დაწესებულებაში ჩატარებულია საუნივერსიტეტო სერვისების კვლევა (2021), პროგრამით კმაყოფილების კვლევა (2020), თანამშრომელთა სამუშაოთი კმაყოფილების კვლევა (2017). ლექტორთა სერვისებით კმაყოფილების კვლევა (2017 წელი). პერსონალის საქმიანობის შეფასების კვლევის ანგარიში (საანგარიშო პერიოდი 2018-2019 წლები).

ამასთან, პროგრამის პერიოდული შეფასებისა და თვითშეფასების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი პროგრამაში ჩართული პერსონალიდან, წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის პერიოდული შეხვედრის ოქმები. საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფი უკავშირდება მოწვეულ ლექტორებს, შესაბამისად, საკონტაქტო ერთეულს წარმოადგენდა სამუშაო ჯგუფი. დაწესებულება ყოველსემესტრულად ატარდება კვლევებს ელექტრონული პროგრამის „არგუსის“ საშუალებით. იღებენ უკუკავშირს სტუდენტებისგან პროგრამის შესახებ, სასწავლო კურსების შესახებ, ლექტორების შესახებ და სხვ. ასევე, თვითშეფასებებისთვის იყენებენ ყოველწლიურ გამოკითხვებს, დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების გამოკითხვებს და კურსდამთავრებულების გამოკითხვებს. დასაქმების შესახებ კურსდამთავრებულების გამოკითვა ტარდება მინიმუმ ერთი წლის გასვლის შემდეგ. ტარდება სატელეფონო გამოკითხვები, კურსდამთავრებულთა კითხვარი მოცულობითია. მეოთხე მხარე შეფასებისას არის არის კოლეგიალური შეფასება. გამოყენებულია საერთაშორისო ექსპერტის მიერ პროგრამის კოლეგიალური შეფასება. სტუდენტებს ეკითხებიან დაწესებულების მიერ მიწოდებული სერვისების შესახებაც. „არგუსში“ ჩანს სასწავლო კურსების სტუდენტების გამოკითხვის შედეგები. წვდომა აქვს ლექტორს და ადმინისტრაციას. დაწესებულების ადმინისტრაცია ახორციელებს გამოკითხვის შედეგების მონიტორინგს. დაწესებულება იყენებს ორდონიან შეფასებას: მიკრო დონეზე ხდება გამოკითხვები სასწავლო კურსის დონეზე, ხოლო მაკრო დონეზე-მთლიანად პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება-სწორედ ამ მიზნით ტარდება დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების შეფასებისას.
დაწესებულება ატარებს პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებასაც. პერსონალი თვითშეფასებას ავსებს ყოველწლიურად. დაწესებულებაში ამჟამად მიმდინარეობს გადასვლა ორწლიან თვითსეფასებაზე. წარმოდგენილი თვითშეფასებების ანალიზის შედეგად ხორციელდება დაწესებულების მხრიდან კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასება.
დაწესებულება ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და შეფასებასაც. ამ გზით ძირითადად მოწვეული პერსონალის მონიტორინგი ხორციელდება. ახლად მოწვეულ პერსონალს მოეთხოვება საჩვენებელ ლექციის ჩატარება. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რჩევებისა და რეკომენდაციების საშუალებით დაწესებულება ეხამრება პერსონალს სწავლებისა და სამეცნიერო აქტივობების გაუმჯობესებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

• ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; • კვლევის ინსტრუმენტები; • ელექტრონული სისტემა არგუსი; • პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და სწავლისშედეგების შეფასების მექანიზმი; • პროგრამის შემუშავების წესი; • დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; • სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტევიუს შედეგები; • პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; • პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები; • დაწესებულების/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: Vშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: "პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არს შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	V			
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ფიქრია ასანიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის:

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნიკა ჩიტაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ია ნაცვლიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ანი ხეცურიანი